მდგომარეობა უცვლელია

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 16 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) – “ტორპედო” (მოსკოვი) – 1:6 (1:2).

“დინამო”: კვაჭაძე (ს. კოტრიკაძე), ა. კოტრიკაძე, სიჭინავა, ხოჭოლავა, ხუნდაძე, ღოღობერიძე, ხასაია, ბარქაია, მელაშვილი, იამანიძე, მესხი.

“ტორპედო”: დენისენკო (სოროკინი), მედაკინი (სოკოლოვი), მარენკო, ოსტოვსკი, ანისიმოვი, სენიუკოვი, მეტრეველი, გუსაროვი, ფალინი, სტრელცოვი, არბუტოვი.

მსაჯი: ა. გრიგორიევი (ბაქო).

მატჩს მოსკოვის “ტორპედოსთან” უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის დინამოელთათვის. გარდა მეტად საჭირო ორი ქულისა, საჭირო იყო ერთგვარი რეაბილიტაცია ასეთი უიმედო სტარტისათვის. არა მარტო თბილისელი მაყურებლის, არამედ მთელი საფეხბურთო საზოგადოების წინაშე. საჭირო იყო კარგი თამაშის ჩვენება.

სულ ორიოდე წუთის დაწყებული იყო თამაში, როცა არბუტოვი გაექცა ა. კოტრიკაძეს და ჩააწოდა კართან. მეკარე კვაჭაძემ, როგორც ეს მას წესად აქვს, მუშტით კი არ მოიგერია ბურთი, ხელში სცადა მისი აღება და იქვე ახლოს დაუვარდა. ფალინმა არ დააყოვნა ანგარიშის გახსნა – 1:0.

ამ მარცხს მოყვა მასპინძელთა ხანგრძლივი შტურმი. იგი ძირითადად მარცხენა ფრთიდან იქნა წარმართული, სადაც მესხი ზედიზედ გადიოდა მედაკინთან ბრძოლაში და ხშირად აწოდებდა ბურთს საჯარიმო მოედანზე. აქ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ იქნა გამოყენებული, მაგრამ გოლი ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი, ვინაიდან თამაში თითქმის არ ცილდებოდა “ტორპედოს” კარს.

სწორედ მაშინ, როცა იერიშის გაგრძელება საჭირო იყო იმავე ფლანგზე, დინამოელებმა შეცვალეს შეტევის მიმართულება და თამაშის სიმძიმე გადმოიტანეს მარჯვენა ფლანგზე. ბურთი სულ უფრო ხშირად ეგზავნებოდა ხასაიას, რომელიც ან კარგავდა მას, ან ყოვლად უსარგებლოდ აწოდებდა მოწინააღმდეგის მცველთა მხარეს. ამან საშუალება მისცა ტორპედოელებს მოეწესრიგებინათ ურთიერთმოქმედება დაცვაში და თავდასხმიდან მოთამაშეთა სესხების გარეშე, მხოლოდ მცველთა და ნახევარმცველთა ძალებით უზრუნველეყოთ კარის მისასვლელები.

მოსკოველებმა სრულიად უმტკივნეულოდ მოაგვარეს საქმე თავიანთ ზურგში და როცა დინამოელები ჯერ კიდევ შეტევაზე იმყოფებოდნენ, სტრელცოვმა მიიღო გადაცემა, სწრაფად მოატყუა სიჭინავა და კარიდან გამოსულ კვაჭაძეს ზუსტად გაუგორა გვერდითი ბურთი – 2:0.

39–ე წუთზე მესხი დრიბლინგით გავიდა მეკარის მოედანზე და ძლიერი დარტყმით გაიტანა საპასუხო ბურთი – 1:2. ეს იყო თბილისი “დინამოს” ერთადერთი, პირველი და უკანასკნელი გოლი ამ თამაშში. დანარჩენი დროის განმავლობაში მდგომარეობის სრული ბატონ–პატრონი მინდორზე იყო მოსკოვის “ტორპედო”. მთელი მეორე ტაიმის მანძილზე თბილისის გუნდი წარმოადგენდა დემორალიზებულ, აბნეულ ფეხბურთელთა თავშეყრას, რომელთაც არ გააჩნიათ არც სათამაშო გეგმა, არც მიზანი, არც ნებისყოფა. ტორპედოელები ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, სულ უბრალოდ, მარტივი გადაცემებით გადიოდნენ მინდვრის ყოველ ნაწილში და ყველაფერში აშკარად ჯობნიდნენ მოწინააღმდეგეს. ეს 45 წუთი ფაქტიურად არცაა აღწერის ღირსი. ძნელია წარმოიდგინო იმაზე სუსტი, უგეგმო, უსისტემო გუნდი “ა” კლასში, როგორსაც თბილისის “დინამო” წარმოადგენდა. “ტორპედოს” თავდამსხმელები სრულიად თავისუფლად დასეირნობდნენ ბურთიანად და ასევე თავისუფლად გაჰქონდათ გოლები. კერძოდ, გუსაროვმა სავსებით დამშვიდებულად დაამრგვალა ანგარიში ექვსამდე.

ჩვენი გუნდის პასივი სულ უფრო და უფრო იზრდება და ჯერჯერობით არ ეტყობა, რომ ასეთი შემადგენლობით, მწვრთნელთა ასეთი “დაგეგმილი” სტრატეგიით რამე წარმატებას მიაღწევენ ახლო მომავალში.

საჭიროა რადიკალური ზომები, რათა თბილისის “დინამომ” თავი დააღწიოს ამ კატასტროფულ მდგომარეობას.

ამავე გუნდების დუბლიორთ მატჩი მოიგეს მოსკოველებმა – 1:0.

ბ. ქორქია.
“ლელო”, 17 აპრილი, 1958 წ.